<u>პროექტი</u>

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№ 2020 წლის -- ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელოს ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების მიზნით იურიდიული მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მისთვის გამოყოფილი 2020 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით არ გავრცელდეს ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ მინისტრი | გიორგი გახარია

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის განვითარება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად (ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოების ზრდა, საკანონმდებლო დაახლოება ევროკავშირის რეგულაციებთან და დირექტივებთან) მნიშვნელოვანია საქართველოზე გამავალი სატრანზიტო მარშრუტების დივერსიფიკაცია და ევროკავშირთან პირდაპირი სატრანსპორტო კავშირების განვითარება.

ბოლო წლების განმავლობაში ბიზნეს გარემოს და მმართველობის გაუმჯობესების მიზნით გატარებულ მთავარ ღონისძიებებთან ერთად საქართველომ წარმატებით განახორციელა რიგი ფუნდამენტური რეფორმები ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში. ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა საკუთარი სატრანზიტო პოტენციალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით, საბაჟო პროცედურების გაუმჯობესებით და ეკონომიკის ძირითად სექტორებში მომსახურების ლიბერალიზაციით, რაც უზრუნველყოფს უკეთეს საერთაშორისო კავშირს გლობალურ ბაზრებთან. საქართველო ასევე აახლებს და აფართოებს თავის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ეროვნული მაგისტრალის მზარდ სისტემას, ახლად გაფართოებულ სარკინიგზო მარშრუტებს, განახლებულ სამ საერთაშორისო აეროპორტს (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) და საზღვაო ნავსადგურებს/ტერმინალებს. ამასთან, საქართველო არის აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი და ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან და ჩინეთთან. საქართველოს ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკის, ძლიერი რეგიონალური და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების, ევროპასა და აზიას შორის სტრატეგიული მდებარეობის წყალობით ქვეყანა იქცა ახალ რეგიონალურ ლიდერად საინვესტიციო შესაძლებლობების თვალსაზრისით.

ევროკავშირის ბაზრებთან პირდაპირი სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის სავაჭრო და სატრანზიტო პოტენციალის განვითარებისთვის. სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბოლო წლებში რეკორდული ზრდის ტემპების შესაბამისი გამტარუნარიანობა. კერძოდ, 2019 წელს საქართველოს საზღვაო ნავსადგურების მიერ ჯამურად გადამუშავებულმა კონტეინერების რაოდენობამ შეადგინა 647,816 TEU, რაც 2018 წელთან შედარებით 42.7%-ით მეტია. საქართველოს პორტების კონტეინერების გადამუშავების მაქსიმალურ შესაძლებლობას წარმოადგენს 750,000 TEU-ს რაც, ტენდენციების გათვალისწინებით უკვე 2021 წელს საკმარისი არ იქნება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რამაც შესაძლოა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეფერხებაც გამოიწვიოს. შესაბამისად, ქვეყნისთვის გადაუდებელ საკითხს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტის შეუფერხებლად განვითარების

ხელშეწყობა. ამჟამად ფოთის საზღვაო ნავსადგური წარმოადგენს საქართველოს უმსხვილეს პორტს, რომელსაც უჭირავს საქართველოს ნავსადგურებში გადამუშავებული მოცულობის დაახლოებით 80%. ფოთის ნავსადგურის განვითარების პროექტი ერთ-ერთი საკითხია, რომლის განხილვაც საქართველოსთვის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაზე პირდაპირ იმოქმედებს.

კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურმა“ მიმართა საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური თანამედროვე ნავსადგურის მშენებლობის პროექტით, რამაც განაპირობა სამინისტროს მხრიდან მაღალი დონის იურიდიული მომსახურების საჭიროება. ფოთის ნავსადგურის განვითარების პროექტისთვის აუცილებელია დიდი მოცულობის ინვესტიციების მოზიდვა, შესაბამისად ინვესტორები მოლაპარაკებებისას იყენებს მაღალი დონის იურიდიული ფირმების მომსახურებას, აქედან სახელმწიფოს ინტერესების დაცვის და მოლაპარაკებების კონსტრუქციულად წარმართვის მიზნით, საჭიროა, რომ სახელმწიფოს მხრიდანაც იყოს ჩართული ანალოგიური მაღალი დონის იურიდიული კომპანია.

ზემოაღნიშნულიდან იკვეთება ამ პროექტის უდიდესი მნიშვნელობა, შესაბამისად საჭიროა საერთაშორისო დონის იურიდიული მხარდაჭერა, რათა სახელმწიფოს ინტერესები სათანადოდ იქნას დაცული.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისა და იურიდიული მომსახურების შეზღუდულ ვადაში მიღების აუცილებლობა გამოწვეულია საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ქვეყანაში გადაზიდული ტვირთების და საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნების კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, რათა შენარჩუნებული და უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს პოზიციები/კონკურენტუნარიანობა ტრანსპორტის და ლოგისტიკის მზარდი საერთაშორისო ბაზრის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული პროექტი მისი მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროებს კვალიფიციურ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებულ საკონსულტაციო მხარდაჭერას. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მომსახურების მიღება მოხდეს ყოველგვარი შეფერხებების და კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების მინიმუმამდე დაყვანის გზით, რათა არ შეფერხდეს ინვესტორთან მოლაპარაკებების წარმოება, სათანადო გადაწყვეტილებების მიღების საწყის ეტაპზევე უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიონალური საკონსულტაციო მომსახურება და საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტის შემუშავება. ამასთან მაღალი დონის იურიდიული კომპანიის ჩართვა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან საინვესტიციო ხელშეკრულება შესაბამის ინვესტორთან გაფორმდეს იმგვარი პირობებით, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული სახელმწიფოს ინტერესები.

ამ მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავდა ტექნიკური დავალება (Terms of Reference), რომელიც გაეგზავნათ საკონსულტაციო კომპანიებს, მათ მიერ შესაბამისი შემოთავაზების (Proposal) წარმოდგენის მიზნით. აღნიშნულის შედეგად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემოთავაზება ქ.ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური თანამედროვე

ნავსადგურის განვითარების მიზნით იურიდიული რეკომენდაციების გაცემის, კერძო ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმართვის, საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტის მომზადების და პროექტის განვითარებასთან დაკავშირებული იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე წარედგინა შემდეგი საკონსულტაციო კომპანიების მხრიდან:

1. BDO Legal-ისა და Norton Rose Fulbright-ის გაერთიანებული შემოთავაზება;
2. KPMG;
3. BGI Legal;
4. Deloitte;
5. Ernst & Young;
6. Hogan Lovells.

ქ.ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური თანამედროვე ნავსადგურის განვითარების მიზნით იურიდიული მომსახურების შესყიდვის საფასური საორიენტაციოდ შეადგენს 1,200,000.00 ლარს, რომლის გადახდასაც სამინისტრო განახორციელებს მისთვის გამოყოფილი 2020 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის განკარგულების წარმოდგენილი პროექტი მომზადდა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით.

პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

ამ განკარგულების მიღების შემთხვევაში, სამინისტრო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის იურიდიული მომსახურებას ქ.ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური თანამედროვე ნავსადგურის განვითარების მიზნით.

პროექტის განხორციელების ვადები:

პროექტის მიღების შემთხვევაში მომსახურების შესყიდვა დაგეგმილია 2020 წლის განმავლობაში.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

წარმოდგენილი პროექტი მიმდინარე ეტაპზე არ მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო დაფინანსებას ან სახელმწიფოს მიერ დამატებითი ფინანსური ან სხვაგვარი ვალდებულებების აღებას, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდება სამინისტროსათვის გამოყოფილი 2020 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის ავტორი და პროექტის წარმდგენი:

პროექტის ავტორია და წარმდგენია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.